



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სახელმწიფო ენის დეპარტამენტი
გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების
ისტორიის საზოგადოება

ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია

პროგრამა და თეზისები

15 აპრილი

2024

სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:

ნანა გაფრინდაშვილი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

თეიმურაზ პაპასქირი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი;

ეკატერინე ნავროზაშვილი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

დარეჯან თვალთვაძე — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

თინათინ ბოლქვაძე — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

დარეჯან გარდავაძე — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

ნინო პოპიაშვილი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ფილოლოგიის დოქტორი (კონფერენციის თავმჯდომარე);

ირინა ნოზაძე — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეგლამენტი:

მოხსენება – 15 წუთი

დისკუსია – 5 წუთი

სამუშაო ენა – ქართული

ორშაბათი, 15 აპრილი

10.00

კონფერენციის გახსნა

თსუ | კორპუსი, აუდიტორია 202

მისალმებები

ნანა გაფრინდაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი,
პროფესორი

პირველი სექცია

სხდომის თავმჯდომარე – დოქტორანტი ანა გოგუაძე

10.30 – 13.00

თსუ | კორპუსი, აუდიტორია 202

ლიკა ყაფლანიშვილი, ილონა კირაკოსიანი

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის პერიოდიზაცია

ხელმძღვანელი: ასოციირებული პროფესორი თინათინ ბოდუაძე

ქეთევან საყვარაშვილი

ორი სახის მრავლობითის შესახებ ქართველურ ენებში

ხელმძღვანელი: ასოციირებული პროფესორი ჰევაზ აბაშია

ნანა შოშიაშვილი

**-ავ სუფიქსი უთემისნიშნო მიმღეობებში (ლინგვისტური კვლევა
თანამედროვე მეთოდებით)**

ხელმძღვანელი: პროფესორი ქეთევან დათუკიშვილი

მონიკა ესებუა

**მისი და თავისი კუთვნილებითი ნაცვალსახელების ფუნქციური
განაწილება ქართულში**

ხელმძღვანელი: ასოციირებული პროფესორი ჰუსუდან ასათიანი

მარიამ ხუბუნაია

დღე-ღამის მონაკვეთების ენობრივი ასახვა ქართულ და მეგრულ ზეპირსიტყვიერებაში

ხელმძღვანელი: ასოციებული პროფესორი მაია დომია

შესვენება

13. 00-14. 00

მეორე სექცია

სხდომის თავმჯდომარე – ფილოლოგიის დოქტორი

ნინო პოპიაშვილი

14.00 – 17.00

თსუ | კორპუსი, აუდიტორია 202

ნატა სიამაიშვილი

ეტიმოლოგიური ფიგურები დევიტედთა წიგნის ძველ ქართულ ვერსიებში

ხელმძღვანელი: ასოციებული პროფესორი დედა ციხედაშვიდი

თამარ ლალიაშვილი, შალვა მილაშვილი

ეროვნული უმცირესობების ენებზე სწავლების საკითხი და იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური შეხედულებები

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვიდი

ქეთევან სამადაშვილი

რეჟიმის მიერ დანუნებული შოთა ჩანტლაძის ლირიკა

ხელმძღვანელი: ასოციებული პროფესორი თამაზ პაიჭაძე

ანი დათუნაშვილი

ეგზისტენციალიზმი ფილოსოფიასა და ლიტერატურაში

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვიდი

ანი დათუნაშვილი

ეგზისტენციალიზმი ფილოსოფიასა და ლიტერატურაში

მოხსენებაში განხილულია ეგზისტენციალური ძიების საწყისები, საკუთარი თავის პოვნის იდეა, ცნობიერისა და ქვეცნობიერის დაპირისპირება, რომლის კვლევასაც მივყავართ ადამიანის გაორებასთან, სულიერ მეტამორფოზასთან, რაც, თავის მხრივ, ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურსა და რელიგიურ ასპექტებს მოიცავს.

საკითხს განვიხილავთ ლიტერატურისა და ფილოსოფიის გზაშეხაყარზე, კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძისა და კნუტ ჰამსუნის შემოქმედების მიხედვით, ეგზისტენციალიზმს ლიტერატურაში ვუკავშირებთ ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიას, კერძოდ, პარალელებს ვავლებთ, კარლ იუნგის თეორიასთან – ცნობიერისა და არაცნობიერის შესახებ. არქეტიპების, როგორც პირვანდელი, არქაული ადამიანური არსის განმასახიერებელ სტრუქტურას, რომელიც, თავისი ხასიათით, მითოლოგიური მოტივების შემცველია, მისი გამოძახილი კი პიროვნების რაციონალურ-მატერიალურ სხეულში ვლინდება.

ნაშრომში შესაბამისი ყურადღება ეთმობა სიყვარულის დესტრუქციული ძალის ჩვენებას: ნგრევას, სულიერ კათარზისს, ტრაგიკულობის, შიშის, სიმარტოვისა და სასონარკვეთილების განცდას.

მონიკა ესებუა

მისი და თავისი კუთვნილებითი ნაცვალსახელების ფუნქციური განაწილება ქართულში

თანამედროვე ქართულში მისი და თავისი კუთვნილებითი ნაცვალსახელების ფუნქციათა აღრევის შემთხვევები ხშირია, განსაკუთრებით ზეპირმეტყველებაში. ამას ადასტურებს ქართული ენის ეროვნული კორპუსის პოლიტიკური ტექსტები, რომლებიც წარმოადგენს სხვადასხვა პოლიტიკოსის გამოსვლების ჩანაწერებს. მსგავსი აღრევის შემთხვევები გვხვდება ქართულის დიალექტებშიც და მხატვრულ ლიტერატურაშიც, განსაკუთრებით XIX საუკუნის ავტორებთან. ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში მისი და თავისი ფორმების დადასტურება და თავისი კუთვნილებითი ნაცვალსახელის არქაული ფორმის თვისი-ს არსებობა ნათელყოფს, რომ ამ ნაცვალსახელთა აღრევა ახალი მოვლენა არ არის და ის ქართული ენის განვითარების უფრო ადრინდელი პერიოდისთვისაც უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი.

GNC-დან შეგროვებული პოლიტიკური ტექსტების ენობრივი ანალიზის საფუძველზე ვლინდება ამ ნაცვალსახელების არჩევანის განმსაზღვრელი ზოგიერთი სემანტიკური თუ პრაგმატიკული ნიშანი. ამასთანავე, ცხადი ხდება, რომ მეტყველის არაცნობიერი გადაწყვეტილება, თუ რომელი ნაცვალსახელი გამოიყენოს მოცემულ წინადადებაში, დამოკიდებულია ფართო ლინგვისტურ თუ მეტალინგვისტურ კონტექსტზე და უნდა განისაზღვროს არა მხოლოდ სინტაქსური, არამედ მთელი დისკურსის მასტრუქტურირებელი წესებით. ამდენად, აუცილებელი ჩანს კვლევის გაგრძელება და ამ საკითხების შემდგომი ანალიზი კომუნიკაციის ეფექტურობის ამაღლებისა და ამგვარი გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით.

თამარ ლალიაშვილი, შალვა მილაშვილი

ეროვნული უმცირესობების ენებზე სწავლების საკითხი და იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური შეხედულებები

ქართული ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებისთვის მე-19 საუკუნის 60-იანი წლების გამოჩენილმა მოღვაწეებმა იაკობ გოგებაშვილისა და ილია ჭავჭავაძის თაოსნობით, მიზნად დაისახეს სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, მშობლიური ენის შენარჩუნებისათვის, მშობლიურ ენაზე განათლების გავრცელებისა და მიღებისათვის ზრუნვა. ამ მხრივ აღსანიშნავია იაკობ გოგებაშვილის საანბანო წიგნები: „დედა ენა“, „ბუნების კარი“, საბავშვო ლიტერატურის განვითარება მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება, მისი საქმიანობა და სხვ., რაც ხელს უწყობდა მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლებას.

აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის გაბატონებულია რუსულენოვანი სასკოლო განათლება, რაც, ზოგ შემთხვევაში, განსაკუთრებული სირთულეებით მიმდინარეობდა. მათთვის, ვისთვისაც მშობლიური ენა არ იყო რუსული, ძალზე რთული იყო ამ ენაზე სხვადასხვა საგნის, მაგალითად, როგორც არის ისტორია, მათემატიკა, ღვთისმეტყველება და სხვ. სწავლა. იაკობ გოგებაშვილი ყურადღებას აქცევს მშობლიურ ენაზე განათლების საკითხს როგორც ქართველთათვის, ისე საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ბავშვებისთვის. მისი შეხედულებით, საქართველოში მცხოვრები უმცირესობებისათვის უნდა ისწავლებოდეს მშობლიური ენა.

მოხსენებაში ვისაუბრებთ საქართველოში მე-19 საუკუნის 60-იანი წლების საგანმანათლებლო სივრცეზე, იაკობ გოგებაშვილისა და ქართველ სამოციანელთა წვლილზე მშობლიურ ენაზე სწავლებასთან დაკავშირებით, ყურადღებას გავამახვილებთ იაკობ გოგებაშვილის შე-

ხედულებებზე საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისათვის მშობლიური ენის სწავლების საკითხებზე.

ქეთევან სამადაშვილი

რეჟიმის მიერ დაუნებული შოთა ჩანტლაძის ლირიკა

ზოგი ადამიანის ცხოვრება საკუთარ ეპოქას ბევრად აღემატება, ზოგის – პირიქით. შოთა ჩანტალაძე ის პოეტია, რომელიც მუდამ იბრძოდა „არა მარტოოდენ საკუთარი ადამიანობის გადასარჩენად.“ ეს ბრძოლა მან ჯერ კიდევ ადრეულ ყმანვილკაცობაში, თექვსმეტი წლისამ დაიწყო, – თავიდან, ბუნებრივია, გაუბედავი ლექსებით მშრომელი კაცის მარჯვენასა თუ ბელადის სიბრძნეზე.

ლექსებში შ. ჩანტალაძე ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანია – მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივი ადამიანური განცდებითა და სისუსტეებით, რეალობაში კი – მტკიცე და ზნესრულია. შ. ჩანტალაძე დასცინის „ფანატიზმსა და უმეცრებას, ყოველგვარ პოზას, განდიდების მანიას, კარიერისმსა და პრაგმატიზმს.“ იგი კაცობრიობის მაღალ იდეალებს მიეღობის: როცა ქვეყნისთვის შეწირულ ჯორდანო ბრუნოზე წერს და იქვე ახსენებს „ვეფხისტყაოსანს“, რომელსაც ცეცხლს უკიდებენ.

ქალაქის სიყვარულის მიუხედავად, პოეტის შთაგონების წყარო და სულის განსასვენებელი მაინც სოფლური იდილიაა, ბუნების მარადიული წიაღი, პოეტი დიდი სიყვარულით წერდა სოფელზე, მიწაზე, გლეხკაცის შრომაზე, ისტორიულ საკითხებზე.

შოთა ჩანტალაძის შემოქმედება დიდი ხნის განმავლობაში ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი, რადგან ის თემატიკა და სულისკვეთება მიუღებელი იყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის. მოხსენებაში ვისაუბრებთ შოთა ჩანტალაძის პოეზიაზე. ყურადღებას გავამახვილებთ ტექსტების თემებსა და გამოსახვის თავისებურებებზე.

ქეთევან საყვარაშვილი

ორი სახის მრავლობითის შესახებ ქართველურ ენებში

ჯერ კიდევ საერთოქართველური ფუძეენის დონეზე, როგორც ჩანს, არსებობდა ორი გზა არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის აღსანიშნად: გარდა *-ებ-იანი მრავლობითისა, შესაძლებლად მიგვაჩნია წართანიანი წარმოების რეკონსტრუქცია ფუძეენის დონეზე (შდრ. მრ. რიცხვის ნიშნები *-ნ, *-თ ზმნებში), რაც სპეციალურ ლიტერატურაში გაზიარებული მოსაზრებაა.

ვფიქრობთ, საერთოქართველურში მრავლობითი რიცხვის წარმოების ორი ვარიანტი ბრუნების ჩამოყალიბების ეტაპებს ასახავს.

ბრუნების კატეგორიის ფორმირებისას რიცხვი ნართანიან მრავლობითში აისახებოდა ოპოზიციით: ნომინატივი — არანომინატივი. მაგრამ შემდეგ ამ კატეგორიის ევოლუციამ მოითხოვა რიცხვის გამოხატვის ახალი საშუალება, რომელიც რიცხვს მარკირებითვე გამიჯნავდა ბრუნვისაგან. -ებ-იანი მრავლობითის წარმოებაში გატარებული ეს პრინციპი უკეთ შეესაბამება ქართველურ ენათა ავლუტინაციური ტიპის ბუნებას და ტიპოლოგიის თვალსაზრისით უფრო ოპტიმალური ვარიანტია.

როგორც ჩანს, -ებ-იანი მრავლობითი ფუძეების არსებობის გვიანდელ ეტაპზე გამოჩნდა და მან ვერ შეძლო ნართანიანი წარმოების განდევნა. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა, რომ ძველ ქართულში ნართანიან მრავლობითს მეტი სინტაქსური ძალა ჰქონდა, -ებ-იან წარმოებასთან შედარებით. შესაძლებელია, ასეთივე ვითარება ყოფილიყო ფუძეების დაშლის მომენტისთვისაც.

არ გამოვრიცხავთ, რომ -ებ-იანი მრავლობითი უშუალოდ სახელური მორფოლოგიის ინოვაცია იყო (მრ. რიცხვის ნიშნები *-ნ, *-თ, როგორც აღვნიშნეთ, პოვნიერია ზმნებშიც) და თავდაპირველად ფორმანარმოებას უფრო ემსახურებოდა, ვიდრე — სინტაქსურ კავშირთა დამყარებას და, ცხადია, ენისათვის ორივე სახის მრავლობითი იქნებოდა საჭირო, სანამ გამოიკვეთებოდა რომელიმე ვარიანტის პრიორიტეტულობა. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ გასაგები გახდება, რატომ შეინარჩუნა საერთოქართველურმა ფუძეებმა ნართანიანი მრავლობითი, ტიპოლოგიურად უფრო დახვეწილი -ებ-იანი წარმოების პარალელურად.

ფუძეების დაშლის შემდგომ, *-ებ-იანი მრავლობითი გაბატონდა მეგრულ-ლაზურში და, ნართანიან წარმოებასთან ერთად, თავიდანვე არსებობდა ქართულშიც, დღეს კი აქაც წამყვან პოზიციას იკავებს. ლაზურში ნართანიანი წარმოება მხოლოდ რელიქტის სახით შემორჩა, ჰა-ნ-ი „ესენი“, ჰი-ნ-ი „ისინი“, ნა-ნ-ი „რომლებიც“ ფორმებში.

როგორც ჩანს, ქართველური ენების ცვალებადობის პროცესში ნართანიანი მრავლობითის მორფოლოგიური სრულყოფა ნაკლებ ხელსაყრელი გზა იქნებოდა, ვინემ -ებ-იანი მრავლობითის სინტაქსური ძალის გაზრდა. შესაბამისად, ტენდენციად ქართველურ ენებში იქცა მრავლობითი რიცხვის წარმოება *-ებ სუფიქსის (და მის შესატყვისთა) უპირატესობით.

იმის გათვალისწინებით, რომ ორივე სახის მრავლობითი ქართველურ ენათაგან დღეს მოქმედია მხოლოდ ქართულში, მოხსენების მთავარი მიზანია სწორედ ამ ენაში წარმოდგენილი მარკურების ისტორიის განხილვა. უფრო ვრცელი გამოკვლევის მომზადება, სათანადო სვანური მასალის მოხმობით, სამომავლოდ გვაქვს განზრახული.

ეტიმოლოგიური ფიგურები დევიგედთა წიგნის ძველ ქართულ ვერსიებში

ეტიმოლოგიური ფიგურა ეწოდება სინტაქსურ კონსტრუქციას, რომელიც შედგება ერთი და იმავე ან სინონიმური ძირებისაგან ნაწარმოები ორი ფორმისგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან შინაარსობრივად და ქმნიან სინტაქსურ წყვილს: უკეთუ **გახდაქცევით გახდაიქცა** სასწაუდი იგი... [ლევ. 13:7 AKSB]; ახა **გმონებდეს** შენ **მონებასა კიხთებხ** [ლევ. 25:29 AKSB]. ამგვარი კონსტრუქციები ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში პარონომაზიის სახელითაა ცნობილი, თუმცა ამ ტერმინის ქვეშ მკვლევრები მოიაზრებენ მხოლოდ ზმნის პირიანი ფორმისა და იმავე ან სინონიმური ძირისგან ნაწარმოები მოქმედებითში დასმული მასდარისგან შემდგარ წყვილებს: ...უკეთუ **ჭამით ჭამოს** დღესა მას... [ლევ. 7:18 OAKSB]; **სიკუდილით მოწყდედ** [ლევ. 20:13 AKSB].

სინამდვილეში, ეტიმოლოგიურ ფიგურას ქმნის ზმნასთან როგორც სხვადასხვა ბრუნვაში წარმოდგენილი მასდარი, ისე – მიმღეობა და სახელი. ამაზე მიუთითებს თუნდაც ზმნის პირიან ფორმასთან მასდარისა და მიმღეობის მონაცვლეობა ბიბლიის ტექსტის ქართულ ვერსიებში: უკეთუ **ჯსნით იჯსნეს** იგი... [ლევ. 27:13 AKSB] უკუეთუ **გამომჯსნედმან გამოიჯსნას** იგი... Ga.

მოხსენებაში პარონომაზიას განვიხილავთ ფართო გაგებით, როგორც ე.წ. ეტიმოლოგიურ ფიგურას. შევხებით მის მორფოლოგიურ, სინტაქსურ და სემანტიკურ ასპექტებს დევიგედთა წიგნის ქართული ვერსიების როგორც ერთმანეთთან, ისე სეპტუაგინტას ბერძნულ ტექსტთან შეპირისპირების საფუძველზე.

ლიკა ყაფლანიშვილი, ილონა კირაკოსიანი

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის პერიოდიზაცია

მოხსენებაში განხილული იქნება ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაციისა და მისი საყრდენი დიალექტის საკითხი. მიმოხილული იქნება ის ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკოლოგიური მახასიათებლები, რომლებიც საფუძველად დაედო ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის სხვადასხვაგვარ პერიოდიზაციას: მის განვითარებაში ორი (აკად. არნ. ჩიქობავა), სამი (აკად. ა. შანიძე) ან ხუთი ეტაპის (პროფ. ბ. ჯორბენაძე) გამოყოფას.

რაც შეეხება ქართული სალიტერატურო ენის საყრდენ დიალექტს, მოხსენებაში განხილული იქნება ის არგუმენტები, რომლებსაც მეცნიე-

რები ასახელებენ: ქართლ-კახურია, სამხრეთ საქართველოს ძირითადი დიალექტის, ან პოლიტიკური ცენტრის, ანუ დედაქალაქის მეტყველების, როგორც სალიტერატურო ქართულის საფუძვლის სასარგებლოდ.

ცალკე იქნება განხილული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის საკითხი და ის ფაქტორები, რომლებიც მის ჩამოყალიბებაზე ახდენენ გავლენას.

ნანა შოშიაშვილი

-ავ სუფიქსი უთემისნიშნო მიმღეობებში (ლინგვისტური კვლევა თანამედროვე მეთოდებით)

ქართულში გამოიყოფა ზმნათა ერთი ჯგუფი, რომლებმაც ანმცოს ფუძის საწარმოებლად განივითარეს პარალელური ფორმები: კვეთს // კვეთავს, ტეხს // ტეხავს, კვეცს // კვეცავს, ხვეტს // ხვეტავს...

1970 წელს მიღებული ნორმის მიხედვით, ე ხმოვნიან არაფუძედრეკად ზმნებში მხოლოდ უთემისნიშნო ფორმები უნდა მივიჩნიოთ მართებულად. დღეს ამ ნორმათა გადახედვა მიმდინარეობს და უკვე დასაშვებადაა მიღებული აღნიშნულ ზმნათა -ავ თემისნიშნიანი ფორმები: უკვეთავს, კვეცავს, იღელავს, იჩეჩავს და ა.შ.

ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა ამ ზმნათაგან მიღებულ მიმღეობებზე დაკვირვება. შევეცადეთ დაგვედგინა, აქაც იჩენს თუ არა თავს -ავ თემის ნიშანი, რამდენად ხშირია მათი გამოყენება, რა განაპირობებს მათ გაჩენას, რომელ ყალიბთან უფრო დასტურდება, შეიძლება თუ არა, რომ ნორმის ცვლილება მიმღეობებსაც შეეხოს და ა.შ.

კვლევა ემყარება ქართული ენის ეროვნული კორპუსის, კერძოდ, რეფერენციალური ქვეკორპუსის ემპირიულ მასალას. ავირჩიეთ ათი ზმნური ფუძე (კვეთ, კვეც, ტეხ, ღელ, ჩეხ, ჩეჩ, ხეთქ, ხვეტ, ხვენ, ხვექ) შემდეგი ოთხი მოდელის მიხედვით: უ-; უ- -ავ; უ- -ელ; უ- -ველ.

ამას გარდა, ერთმანეთისაგან გავმიჯნეთ ფუძეთა და ტოკენტა, საერთო მაგალითთა, რაოდენობა, რათა კვლევის შედეგი უფრო ზუსტი ყოფილიყო.

დღე-ღამის მონაკვეთების ენობრივი ასახვა ქართულ და მეგრულ ზეპირსიტყვიერებაში¹

თავდაპირველად ადამიანები დროს არ ანაწევრებდნენ. როცა კაცობრიობა დროის აღნიშვნის ახალ ეტაპზე გადავიდა, აუცილებელი გახდა დროის დაკონკრეტება და ცალკეული მონაკვეთების სახელდება; შესაბამისად, ადამიანებმა შემოიღეს მეტრიკული დროის ცნება. მეტრიკული დრო თვლადი დროითი მონაკვეთების გამომხატველი ლექსიკური ერთეულებით გადმოიცემა, როგორცაა: **წელი, არე, თვე, კვირა, დღე**.

მოხსენებაში განხილულია ქართულ და მეგრულ ზეპირსიტყვიერებაში დადასტურებული დღე-ღამის მონაკვეთების გამომხატველი ენობრივი საშუალებები.

დღე-ღამის ციკლი მეტრიკული დროის უმცირესი, თუმცა მნიშვნელოვანი მონაკვეთია. ჩვენ მიერ გაანალიზებულ ქართულ და მეგრულ მასალებში დასტურდება მრავალფეროვანი ფორმები. ქართულში ძირითადად რთული ლექსემებია: *დიღაბინდზე, დიღაბნედი, ჩიჭაჟი, დიღაუთენია, ღამღამობით, შუაღამე*. ზღაპრის მთქმელი დღის მონაკვეთებს პურის ქამასაც უკავშირებს და გვხვდება ფრაზები: „საუზმის დღოს“, „სადილის დღოს“ და სხვ. მეგრულში დღე-ღამის ციკლის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულებია: *აღონი „აღიონი“, ოხღო/ოღხო, ოჭუმაჟე „დიღა“, ონღლე „შუაღლე“, ონჯუა „საღამო ხანი“* და სხვ. პურის ქამის აღმნიშვნელი ლექსემებიდან მეგრულ ზღაპრებში დასტურდება მხოლოდ *ოსეჟშე „ვანშამი“*; მაგალითად, *ოსეჟშე ბოჩჯის „ვანშამობის დღოს“*.

ქართულში ზღაპრის მთქმელი ხშირად შესიტყვებასაც იყენებს: *ღირთ ადჟე, ადჟიან დიღას, სისხამ დიღას* და სხვ; ყურადღებას იქცევს აგრეთვე -*დ* სუფიქსიანი ზმნური ფორმა – *მოღლევება*. მეგრულში დღე-ღამის მონაკვეთს მთქმელი ზოგჯერ მთელი ფრაზით აზუსტებს: *ღლა დო სეჟიშ აკონთხაფას „ღლისა და ღამის შებმის დღოს“; შქასეჟიშე ბჟედით გინოჩი-ღათიჩი ბოჩჯის „ნაშუაღამევს ბეჯხად გადაცდენიღ დღოს“* და სხვ.

საანალიზო საკითხის მიხედვით ქართული და მეგრული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შედარება საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

¹ კვლევა შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტის (მიფრი MR-23-183) ფარგლებში.



უნივერსიტეტის
გამოცემა